ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრის შინაგანაწესი

1. მოქმედების სფერო და მიზანი

1.1 წინამდებარე შინაგანაწესის მიზანია უზრუნველყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრში დასაქმებული პირების მუშაობის ორგანიზება, დისციპლინის განმტკიცება, თეატრის ტერიტორიაზე წესრიგის დაცვა.

1.2 შინაგანაწესი ეფუძნება კანონიერების, თანასწორუფლებიანობის, გენდერული თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის, დისკრიმინაციის აკრძალვის, თანამშრომლობის, ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულების პრინციპებს, რაც გამოხატულია ასევე საუნივერსიტეტო ღირებულებებში.

1.3 იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც არ რეგულირდება ამ შინაგანაწესით, მოქმედებს ,,უნივერსიტეტის შინაგანაწესი“, ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების პოლიტიკის დოკუმენტი“, ,,თეატრის დებულება“ და თეატრის თანამშრომლებთან/სტუდენტებთან/პედაგოგებთან გაფორმებული ხელშეკრულება.

2. თეატრში ქცევის წესები

2.1 თეატრის ფოიეში იკრძალება:

ა) უნივერსიტეტის სტუდენტების/უცხო პირების გაჩერება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას მოითხოვს რეპეტიციების განრიგი ან/და ეწყობა უნივერსიტეტის, თეატრის ღონისძიება.

ბ) ჩაის, ყავის, ან ალკოჰოლური სასმელის დალევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფოიეში ეწყობა უნივერსიტეტის, ან თეატრის სპეციალური ღონისძიება;

გ) ხმამაღალი ლაპარაკი ან სხვა სახის ხმაური, განსაკუთრებით რეპეტიციებისა და სპექტაკლების მსვლელობის დროს.

2.2 თეატრის ტერიტორიაზე იკრძალება:

ა) არაფხიზელ მდგომარეობაში თეატრის ტერიტორიაზე ყოფნა;

ბ) საგრიმიოროებში, სცენასა და დარბაზში ლექციების ჩატარება, გარდა სპექტაკლის ან სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი საჭიროებისა;

გ) საგრიმიოროებში, სცენასა და დარბაზში სტუდენტების ყოფნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას წარმოდგენა და/ან რეპეტიცია მოითხოვს;

დ) სცენაზე, დარბაზსა და ფოიეში საჭმელისა და სასმელის შეტანა, გარდა იმ განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც ამას წარმოდგენა და/ან უნივერსიტეტისა ან თეატრის მიერ ორგანიზებული ღონისძიება მოითხოვს;

ე) ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე სტუდენტების მიერ ღამის რეპეტიციების ჩატარება (22:00 საათის შემდეგ);

ვ) ფოიეში, საგრიმიოროებში, სცენასა და დარბაზში თამბაქოს მოწევა, გარდა იმ

განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც ამას მოითხოვს წარმოდგენა.
ზ) ტანსაცმლის, პირადი ნივთებისა და სხვადასხვა აქსესუარების შენახვა და დატოვება;
თ) რეკვიზიტის, კოსტიუმების და თეატრის სხვა ნებისმიერი ქონების უნებართვო გატანა თეატრის ტერიტორიიდან;
ი) ერთობლივი პროექტების დროს თეატრის დეკორაციის, რეკვიზიტისა და თეატრის სხვა ქონების გამოყენება რეჟისორებისა და მსახიობების მიერ, რომლებიც არ არიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების მიმართულების სტუდენტებიდა/ან თეატრის თანამშრომლები.

2.3 თეატრის ადმინისტრაციულ ოფისებში იკრძალება:
ა) უცხო პირთა/უნივერსიტეტის სტუდენტთა შემოსვლა თეატრის ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე.
ბ) ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე ტელეფონითა და კომპიუტერებით სარგებლობა.

3. დისციპლინური პასუხისმგებლობა

დისციპლინური პასუხისმგებლობა თეატრის შინაგანაწესისა და უნივერსიტეტის სხვა რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში განისაზღვრება უნივერსიტეტში მოქმედი შინაგანაწესის, ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების პოლიტიკის დოკუმენტი“-სა და სტუდენტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით.